ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/08

დაბა ქედა, **26 ივლისი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:20 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ივლისი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წესრიგის წარმოდგენამდე საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ღრმა მწუხარება გამოთქვა საკრებულოს წევრის გოჩა ჟღენტის გარდაცვალების გამო და საკრებულოს წევრებს სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისთვის. საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ გოჩა ჟღენტს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის №01-06/08 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის, გოჩა ჟღენტისთვის, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2.„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4.შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცის მოსმენა.

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების
ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი: რაულ ცინცაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო ორი საკითხი:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
2. „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

ვინაიდანაც აღნიშნული საკითხები შემჭიდროვებულ ვადებში უნდა მიღებულიყო, აუცილებელი იყო საკითხების დამატება წარმოდგენილი მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების დამატების მიზნით წარმოადგინა №01-06/08 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის, გოჩა ჟღენტისთვის, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი: რაულ ცინცაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

6. მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი: მამია გვარიშვილი

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის №01-06/08 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის, გოჩა ჟღენტისთვის, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს ცნობის სახით მოახსენა ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გოჩა ჟღენტის, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ, მიმდინარე წლის 17 ივლისს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოითხოვა გოჩა ჟღენტის გარდაცვალების მოწმობა (წერილის ნომერი: №95-95241993, 17.07.2024 წელი). 18 ივლისს სააგენტოს მიერ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადმოეგზავნა გოჩა ჟღენტის გარდაცვალების აქტის ჩანაწერი (წერილის ნომერი: №06-95242003-95, 18.07.2024 წელი). მიმდინარე წლის 24 ივლისს კომისიის სხდომაც ჩატარდა და კომისიის წევრებმა მოისმენს აღნიშნული ინფორმაცია (კომისიის დასკვნა: №დ95.95242063, 24.07.2024 წელი). ქედის მუნიციაპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ყოველივე ზემოთ ხსენებული პროცედურის შემდეგ საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგენს ცნობის სახით აღნიშნულ ინფორმაციას. საკრებულო კი, საკრებულოს წევრის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. ამიტომ, კომისიამ ცნობის სახით წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გოჩა ჟღენტის, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საკრებულოს წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან წარმოდგენილი გარდაცვალების აქტის ჩანაწერით გოჩა ჟღენტის გარდაცვალების თარიღად 2024 წლის 8 ივლისი ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 9 ივლისიდან ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გოჩა ჟღენტს, გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღნიშნული ინფორმაცია ცნობის სახით მოისმინა.

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95242081-95, 26.07.2024 წელი) და ცვლილებათა რეესტრი წარმოადგინა შემდეგი სახით:

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	01 02 02	მონაწილებითი ბიუჯეტი	**396 000**	ტენდერიდან მიღებული ეკონომია, 96 000 5%-იანი გადატანის გასწორება
2	1332112	გრანტი	**10 300**	განათლებისა და კულტურის სამინისტრო (ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა)
3	133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	**200 000**	საქართველოს მთავრობის განკარგულება №746 30.05.2024
4	133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	**750 000**	
5		ნაშთის მოსესხება	**27 900**	
6	1411	პროცენტები	**72 400**	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები
7	1415	რენტა	**45 000**	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის
8	142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**15 000**	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
9	143	სანქციები, ჯარიმები და საურავები	**30 000**	
10	05 02 06 01	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	**650 300**	აღნიშნული პროექტი მრავალწლიანია და მიმდინარე წელში გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება შეუძლებელია
11	02 09	მთების ელექტროფიკაცია (გომის მთა)	**166 000**	აღნიშნული ფინანსებით გათვალისწინებული იყო მთებზე ელოქტროფიკაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროეტების შესყიდვაზე ცალკე მუხლში გამოყოფილია თანხა, აღნიშნული ხარჯის გადატანა შესაძლებელია სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად
12	05 02 06 01	წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	**600 000**	დღეის მდგომარეობით არ არის საექსპორტო და გეოლოგიური კვლევები ჩატარებული. პროექტი არასრულყოფილია, რის გამოც შეუძლებელია წლის დაჩენილ დროში სამუშაოების შესყიდვა.

13	02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)	**167 000**	მომდინარე წელში გათვალისწინებული იყო სოციალური სახლის პროექტის მომზადება და სამუშაოების ნაწილის შესრულება. ვინაიდან საპროექტო სამუშაოები დასრულდა დაგვიანებით დარჩენილ დროში შეუძლებელია გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება. პროექტი არის მრავალწლიანი და მისი დაფინანსება მოხდება მომდევნო წლებში
14	02 02 01 05	სოფელ სირაბიძეებში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა	**12 000**	დაფინანსების წყაროს ცვლილება
15	02 02 01 06	სოფელ დოლოგანში წყალმომარაგების გამანაწილებელი ავზის მოწყობა	**40 100**	დაფინანსების წყაროს ცვლილება
16	01 01 02	მერია	**50 000**	შრომის ანაზღაურებიდან მიღებული ეკონომია
17	06 02 09	ძველის საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა	**42 000**	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
18	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	**15 000**	
ჯამი			**3 289 000**	
№	**პროგრამული კოდი**	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	**33 000**	წარმატებული სპორტსმენების წახალისება
2	05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	**5 000**	სხვადასხვა ღონისძიებები
3	01 01 01	საკრებულო	**0**	მუხლებს შორის ცვლილება (საქონელი და მომსახურეობიდან სხვადასხვა ხარჯში სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი 14 000 ლარი).
4	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	**61 000**	5%-იანის გასწორება (არაფინანსური აქტივები (დიზელ გენერატორი და კომპიუტერების შეძენა ადმინისტრაციული ერთეულებისათვის)) მუხლებს შორის ცვლილება საქონელია და მომსახურეობიდან სხვა ხარჯებში 2 200 ლარი.
5	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	**0**	მუხლებს შორის ცვლილება (სხვა კაპიტალური ხარჯებიდან სუბსიდიის მუხლში 46 465 ლარი და სხვა კაპიტალური ხარჯებიდან გრანტებში 2 100 ლარი).
6	01 02 01	სარეზერვო ფონდი	**75 000**	სხვა ხარჯები. 5%-იანი გადატანის გასწორება

7	02 03 03 04	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა	**0**	არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურეობაში 5 710 ლარი.
8	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	**53 600**	თანამდებობრივი სარგო-45 000 ლარი. სოციალურ უზრუნველყოფაში 8 600 ლარი. მუხლებს შორის ცვლილება (საქონელი და მომსახურებიდან არაფინანსური აქტივში 35 000 ლარი).
9	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	**70 100**	თანამდებობრივი სარგო-60 000 ლარი. შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება-10 100 ლარი. მუხლებს შორის ცვლილება (საქონელი და მომსახურეობიდან სოციალურ უზრუნველყოფაში 442,89 ლარი, არაფინანსური აქტივიდან 10 900 ლარი საქონელი და მომსახურებაში).
10	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	**82 400**	შრომის ანაზღაურება 30 000 ლარი, 19 200 ლარი რუმინეთის ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეობა, 23 500 ლარი ქალაქ სომხეთში ტურნირში მონაწილეობა, 2 500 ლარი რაჭის შეჯიბრში მონაწილეობა, 7 200 ლარი საოფისე ხარჯი.
11	05 01 03 03	ააიპ ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა''	**12 500**	საქონელი და მომსახურეობაში - არჩილ ფარტენაძის ტურნირი 5 500 ლარი და ტრანსპორტი რემონტის 7 000 ლარი. მუხლებს შორის ცვლილება (შრომის ანაზღაურებიდან 27 000 ლარი გადატანილია საქონელი და მომსახურეობაში 17 650 ლარი და სხვა ხარჯებში 9 350 ლარი).
12	05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	**31 200**	თანამდებობრივი სარგო-6 000 ლარი. შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება-2 900 ლარი. არაფინანსური აქტივები (მუსიკალური ინსტრუმენტები განათლებისა და კულტურის სამინისტრო (ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა) 10 300 ლარი და (12 000 ბულგარეთში ანსამბლ ჩანგის მივლინების ხარჯი)
13	05 02 03	ააიპ ქედის ისტორიული მუზეუმი	**24 000**	თანამდებობრივი სარგო 3 000 ლარი, შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება 5 000 ლარი, ვებ გვერდი საფასური 3 000 ლარი, თარჯიმნის თანხა 8 000 ლარი, ავტომობილის რემონტი 2 500 ლარი, ფრიდონობა 2 500 ლარი
14	03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	**136 900**	თანამდებობრივი სარგო-7 400 ლარი. შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება-30 000 ლარი. დეკრეტული შვებულების ხარჯი-4 500 ლარი. ელექტრო ენერგიის ხარჯი-70 000 ლარი. ტრანსპორტის რემონტი - 25 000 ლარი.

15	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	**24 500**	თანამდებობრივი სარგო-6 500 ლარი. შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება-18 000 ლარი. მუხლებს შორის ცვლილება (სუბსიდიიდან სხვა ხარჯების კაპიტალურში 1 000 ლარი).
16	02 01 06	შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	**5 100**	თანამდებობრივი სარგო-3 750 ლარი. საწვავი (მოადგილე 50 ლიტრი თვეში) 1 350 ლარი.
17	06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	**679 000**	სხვა ხარჯები 679 000 ლარი
18	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	**27 000**	გარდამავალი ხელშეკრულების რესურსის შევსება
19	05 01 03 02	შპს სარაგბო კლუბი ფირალები	**4 000**	შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება- 4 000 ლარი.
20	02 03 03 05	დაბა ქედაში ლითონის კონსტრუქციის მოწყობა ეროვნული დროშისთვის	**87 900**	დაბა ქედის ცენტრის კეთილმოწყობის პროგრამაში გათვალისწინებულია ლითონის კონსტრუქციის მოწყობა ეროვნული დროშისათვის, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ხარჯები
21	02 01 07	ხელვაჩაური-ქედის საზღვართან საზღვრის მიმანიშნებელი აბრის რეაბილიტაცია	**112 100**	არსებული ქედის და ხელვაჩაურის საზღვარზე მიმანიშნებელი აბრა სიძველის გამო გახდა უსახური და საჭიროებს რეაბილიტაციას
22	02 02 01 05	სოფელ სირაბიძეებში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა	**12 000**	დაფინანსების წყაროს ცვლილება
23	02 02 01 06	სოფელ დოლოგანში წყალმომარაგების გამანაწილებელი ავზის მოწყობა	**50 100**	დაფინანსების წყაროს ცვლილება
24	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	**1 059 050**	იმდინარე წლის ზამთრის სეზონზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის, კერძოდ: საყრდენი კედლების, მილხიდების, სანიაღვრე არხების მოსაწყობად და ბეტონის საფარის დასაგებად დამატებით საჭიროა 01 059 050 ლარი
25	02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	**265 200**	მიმდინარე წლის ზამთრის სეზონზე განვითარებული სტიქიური მოვლენების დროს განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგების აღმოსაფხვრელად, კერძოდ: საცხოვრებელ სახლებთან, საზოგადოებრივ ობიექტებთან გამაგრებითი

				სამუშაოების ჩასატარებლად დამატებით საჭიროა 167 000 ლარი
26	02 03 03 01	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახოში სკვერის მოწყობა	**67 000**	ვინაიდან პროექტი შედგენილი იყო წინა წლებში, სამშენებლო მასალების ფასების ცვლილების გამო საჭირო გახდა სახარჯთაღრიცხვო მონაცემებში ცვლილების შეტანა, რამაც გამოიწვია პროეტის ფასის ზრდა.
27	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	**129 950**	მომდევნო წლის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისათვის საჭიროა წინასწარ პროექტების მომზადება, რისთვისაც საჭიროა 129 950 ლარის დამატება
28	02 01 05	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	**30 400**	მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაადგილების მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა
29	06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	**100 000**	მოქალაქეების მაღალი მომართვიანობა
30	06 02 10	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	**51 000**	მოქალაქეების მაღალი მომართვიანობა
ასიგნებების ჯამი			**3 289 000**	**X**
ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი			**0**	**X**
ნაშთიდან მოსესხების შემცირება			**0**	**X**
საერთო ბალანსი			**0**	**X**

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, მთების ელექტროფიკაციის საკითხი საკმაო პერიოდია მიმდინარეობდა, ამიტომ ამირან ცინცაძეს აინტერესებდა პროექტებთან დაკავშირებით რა ხდებოდა და რა ეტაპზე იყო ეს პროცესები ამჟამად.

რაზედაც მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ უპასუხა, რომ პროექტები უკვე წარმოდგენილი იყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №5, 26.07.2024 წელი).

3. მოისმინეს:„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-952417812, 26.06.2024 წელი) და აქვე განმარტა, რომ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან (N2587-XIმს-Xმპ; 9.02.2023) გამომდინარე, „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდებოდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება. წარმოდგენილი ნორმატიული აქტის ძირითადი არსი კი მოიცავდა შემდეგს: „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია დაამტკიცოს და ცვლილება შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრასთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტში, რომლის პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა ახლებურად, კერძოდ:

„დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

„ ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%; ““.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტზე 2024 წლის 28 ივნისიდან მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (განკარგულების რეგისტრაციის ნომერი: №g-95.95241804, 28.06.2024 წელი), დადგენილების პროექტი პირველ ივლისს წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (წერილის ნომერი: №95-95241831, 01.07.2024 წელი.), საიდანაც მოვიდა საკონსულტაციო დასკვნა (წერილის ნომერი: №03-95241982-95, 16.07.2024 წელი.), რომლის საფუძველზეც მთავრობის ადმინისტრაციას დადგენილების პროექტის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ ჰქონდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება: №6, 26.07.2024 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №95-95242072, 25.07.2024 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძეს მადლობა გადაუხადა კომისიის გაწეული საქმიანობისათვის და ანგარიშის წამოდგენისათვის. შემდეგ კი საკრებულოს წევრებს მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამასთან დაკავშირებით ინიციატივა შესთავაზა, ,,როგორც ვიცით, ამ ქვეპროგრამით სარგებლობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ის ნაწილი ვინც საჭიროებს მოვლას და აქვთ ჯგუფით შშმ პირის სტატუსი, ხოლო ვერ სარგებლობს ადამიანთა ის ნაწილი ვინც ასევე საჭიროებს მომვლელს, მაგრამ არ აქვთ ჯგუფით შშმ პირის სტატუსი მინიჭებული. ამ თემაზე შშმ პირის სტატუსის მინიჭების კომსიასთან (შუახევის კომისიის თავმჯდომარესთან) მქონდა საუბარიც, თუმცა ჯგუფის შშმ პირის სტატუსის მინიჭებას ეს კომისია მარტო ფორმა №100-ის საფუძველზე ვერ მოახდენს, რადგან გარკვეული გამოკვლევები უნდა გაიაროს მოქალაქემ, რომელიც უნდა წარედგინოს შემდეგ კომისიას. სარეცელს მიჯაჭული ადამიანისთვის ეს საკმაო პრობლემას წარმოადგენს, ასევე გამოკვლევები ხარჯებთანაცაა დაკავშირებული, ამიტომ როცა აღნიშნული ჯგუფი არ აქვთ მოვლის საჭიროების მქონე პირებს, ვერ სარგებლობენ ამ ქვეპროგრამით. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ქვეპროგრამაში ცვლილებაზე ვიფიქროთ და ჯგუფით შშმ პირის სტატუსის აუცილებლობა ამოვიღოთ, რადგან გაუმარტივდეთ იმ ადამიანებსაც ამითი სარგებლობა, ვისაც სჭირდებათ მოვლის ქვეპროგრამით სარგებლობა“ - განაცხადა ამირან ცინცაძემ.

ამირან ცინცაძის ინიციატივა მოიწონა საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ და აღნიშნა, რომ მწოლიარე ადამიანისათვის ეს ყველა პროცედურა ისეც დიდ პრობლემას და ხარჯს წარმოადგენდა. ,,თუ შეგვეძლება მუნიციპალიტეტს, რომ ასეთ ადამიანებს დავეხმაროთ, შევუმსუბუქოთ საქმე, რათქმაუნდა, უმჯობესია და კარგი იქნება ამ ქვეპროგრამაში ცვლილება განხორციელდეს და მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის კომისიის საფუძველზე მოხდეს ამისი განსაზღვრა, მაგრამ ობიექტურობით და ვინც, მართლა საჭიროებს მომვლელს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მივცეთ საშუალება ისარგებლონ“- განაცხადა ჯემალ დავითაძემ.

განცხადება გააკეთა ასევე საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემაც და აღნიშნა, რომ ნამდვილად კარგი იქნებოდა თუ ამ ქვეპროგრამაში ცვლილება განხორციელდებოდა. ეს წინააღმდეგობას არ შეუქმნიდა არაფერს. პირიქით, მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით შეძლებდა ესარგებლათ იმ სარეცელს მიჯაჭულ ადამიანებსაც, ვისაც ჯგუფით შშმ პირის სტატუსი არ ექნებათ მინიჭებული, თუმცა ნამდვილად საჭიროებს მომვლელს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №:გ-95.95242083, 26.07.2024 წელი).

5. მოისმინეს: შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელმა შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს დირექტორმა რაულ ცინცაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია (წერილის ნომერი: №10/95242012-95, 19.07.2024 წელი; კომისიის დასკვნა: №d95.95242061, 24.07.2024 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რა იგეგმებოდა ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიერ მახუნცეთში ინფრასტრუქტურის კუთხით და ასევე გიდების მომზადების საკითხიც ხომარ არ შედიოდა მათ სამსახურში ან ამ მიმართულებით რაიმეს ხომ არ გეგმავდნენ ისინი.

მომხსენებელმა ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს დირექტორმა რაულ ცინცაძემ უპასუხა, რომ 2024 წელს წიგნიერების ცენტრში მათ ჰქონდათ შესაბამისი ფინანსური რესურსი და ამ ეტაპზე 25-ზე მეტი საოჯახო სასტუმრო გადამზადებულ იქნა ციფრულ მარკეტინგში. მიმდინარე წელს ისინი გემავდნენ, რომ ქედის მუნიციპალიტეტში იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებული იქნებოდნენ პროფესიით გამხდარიყვნენ გიდები, დაახლოებით 20-მდე ახალგაზრდას ორთვიან კურსს შესთავაზებდნენ, რომელიც თეორიულ სწავლებასთან ერთად მოიცავდა პრაქტიკულსაც. კერძოდ, ათზე მეტ საოჯახო სასტუმროში, სასტუმროსა და რესტორანში პრაქტიკულ სწავლებას გაივლიდნენ. ასევე წელს წიგნიერების ცენტრში დაახლოებით ხუთი ტიპის ტრენინგი იგეგმებოდა. რაც შეეხებოდა, მახუნცეთთან დაკავშირებით კითხვას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მახუნცეთი, მასშტაბურად როგორც ტურისტებისგან, ისე სახელმწიფოსგანაც დიდი ინტერესით სარგებლობდა. გასულ წელს და მიმდინარე წელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იყო ინიციატივა და აქვთ გარკვეული გეგმები ინფრასტრუქტურის მხრივ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით. ხოლო მათი სამსახური ამ ეტაპზე რასაც აკეთებდა იყო ის, რომ მაქსიმალურად მოეწესრიგებინათ საპარკინგე ადგილი და საპირფარეშოები.

კითხვა დასვა საკრბეულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ, თუ რა იგეგმებოდა კონკრეტულად ზვარის ტერიტორიაზე ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიერ.

მომხსენებელმა რაულ ცინცაძემ უპასუხა, რომ ზვარეში ორი ლოკაცია იყო. ,,ერთ ლოკაციაზე კანიონივით ადგილია, რომელიც რამდენიმე ჩანჩქერის გაერთიანებაა და საერთო ჯამში ავყავართ ზედა ჩანჩქერთან. პროექტიც გამზადებული გვაქვს, რომელი პროექტითაც ზვარის ხეობაში ამ კანიონების საშუალებით გადიხარ ბოლო ლოკაციაზე, ბოლო ჩანჩქერთან, რაც საკმაოდ სათავგადასავლო და საინტერესო იქნებოდა ტურისტებისათვის".

საკრებულოს წევრმა მზია ბოლქვაძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, წონიარისში რომელ ლოკაციაზე გეგმავდა მათი სამსახური ინფრასტუქტურულ კეთილმოწყობას.

რაზედაც მომხსენებელმა რაულ ცინცაძემ უპასუხა, რომ ისინი გეგმავდნენ წონიარისის ჩანჩქერთან მისასვლელი გზების მოწყობას, რადგან ეს ტერიტორია იძლეოდა საშუალებას დიდი საპიკნიკე ზონა მოწყობილიყო. ამ ლოკაციაზე ხუთი ხიდი იყო გაკეთებული. თავი ხიდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წელს განვითარებული მეწყერის შედეგად დაზიანდა, ხოლო ბოლო ხიდი არ იყო. ამიტომ ამ ტერიტორიაზე უნდა გაეკეთებინათ თავი და ბოლო ხიდი, დასაჯდომი სივრცე (გადახურული, წვიმისასაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი დაჯდომა ტურისტებისათვის) და საცეცხლურები.

კითხვა დასვა საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძემ, როგორც უკვე მისთვის ცნობილი იყო ტურისტული

მარშრუტი უკვე შედგენილი იყო და აინტერესებდა ნამეფვარიდან ხინოში გადასასვლელ მარშრუტთან დაკავშირებით რა ხდებოდა ამ ეტაპისათვის.

კითხვასთან დაკავშირებით რაულ ცინცაძემ განმარტა, რომ ამ პროექტზე მიმდინარეობდა მუშაობა, მას აკეთებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი პროექტიც გამზადებული აქვთ, შესაბამისი ფინანსური რესურსიც ჰქონდათ და მისი დაზუსტებული ინფორმაციით, რისი თქმაც შეეძლო იყო ის, რომ მარშრუტის პროექტი ნამდვილად გაკეთებული იყო. აღნიშნულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით მათ გააკეთეს რამოდენიმე პროექტი. კერძოდ, ჩალეწილების ტერიტორიაზე გაკეთდა საცეცხლურები, დაახლოებით 70000-მდე დახარჯა დეპარტამენტმა. ასევე გაკეთდა ნაკონაღვარის პროექტიც. სამომავლოდ კოსლითავის მთას გეგმავდნენ. აქვე რაულ ცინცაძემ საკრებულოს წევრებს ისიც აცნობა, რომ ინფრასტრუქტურის სრულად მოწყობის კუთხით დაინტერესება აქვთ წონიარისისა და ახოს მთებზე და ახლო მომავალში იგეგმებოდა ეს პროექტიც.

აზრი დააფიქსირა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ და რაულ ცინცაძეს მადლობა გადაუხადა ქედის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და ქედის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მხრივ გაწეული საქმიანობისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №:გ-95.95242081, 26.07.2024 წელი).

6. მოისმინეს: მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა მამია გვარიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95242082-95, 26.07.2024 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი იყო „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №გ-95.95233421 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და მისი ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მეტი კონკრეტიზებისთვის და დეტალურად გაწერისათვის. ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანს კი, სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება წარმოადგენდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. (განკარგულება №:გ-95.95242082, 26.07.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ნონა ბერიძე**